F 24/1888

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი

საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა № 31 ენკენისთვის 4.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, რედაქციის კანტორაში. ფოთში ბესარიონ კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ“. გაზეთი ისყიდება: თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეკელთან — გოლოვინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა

## ორი წლის შემდეგ!

(ნათარგმნი)

მოხუცი ზაქარია შეწუხებული სახით დაჰყურებდა ავათმყოფობისაგან მთლად მიხრწნილ-გაყვითლებულ მაშოს. მაშო ერთად-ერთი ქალი იყო ზაქარიასი. მამას გარეთად ამ ქვეყნად აღარავინ დარჩენოდა მახლობელი; მისმა უდროოდ დაქვრივებამ და უიმედო ავათმყოფობამ ისედაც მოხუცი ზაქარია, საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო: თმა-წვერი ბამბასავით გაჰთეთრებოდა და წელში ორ-სამ კეცად მოხრილიყო. დღეს მეტის-მეტ ამოცანის თვალით დაჰყურებდა მძინარე მაშოს, თითქოს უნდოდა ამოეკითხა მის სახეზე, თუ რა მიზეზით სთქვა მაშომ: „ეხლა გვიან-ღა არის“, როცა ზაქარიამ უთხრა, ქმრის სიკვდილი. დიდხან დაჰყურებდა მაშოს ზაქარია, მაგრამ ამაოდ. მაშოს გაცრიაგებული სახე და დინჯად მოძრავი გულ მკერდი არავითარ პასუხს არ იძლეოდენ. „ჩემი შვილი მოულოდნელმა უბედურებამ ცოტა ჭკვაზე შეარყია და იმიტომ არაფრად მიიღო ქმრის სიკვდილი“, გადასწყვიტა ბოლოს ზაქარიამ და მოსცილდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ავათმყოფის საწოლს. ამ გვარი ორჭობად ყოფნა ზაქარიასი, თუმცა ვერაფერი სანუგეშო იყო, მაინც იგი სულით არ ეცემოდა. მას ერთად-ერთ სანუგეშოდ ის-ღა დარჩენოდა, რო მაშოს იგი წინანდელზე ნაკლებად არც ახლა უყვარს თავისი მაშო და მხოლოდ იმის მონატრეა მისი ქალი, რო მასთან ახლოს იყოს, მამასთან ამოუვიდეს სული. ეს მეტად ამხნევებდა მოხუცს და ისიც არ ჰღალატობდა შვილს: გამოცდილს მომვლელზედ უკეთ უვლიდა ავათმყოფს. მაშოს გამოელვიძა, მიიხედ-მოიხედა და ახლოს რომ ვერ შენიშნა თავისი მამა საშინლად ამოიოხრა და ცრემლები ჩამოჰყარა. ზაქარია, რო მიუახლოვდა მაშოს ცრემლები შეუშრობლად დარჩენოდა მას. ზაქარიამ შენიშნა ეს და მოსიყვარულის ხმით ჰკითხა: რამ დაგაღონა, შვილო? განა რამ აგაღელვა ისე, რომ ცრემლი მოგგვარა?

მე ვფიქრობდი, საყვარელო მამავ, თუ რითი დაბოლოვდა ჩემი ბრწყინვალე ქორწინება. მე საშინლად მინდოდა გრაფის ცოლი ვყოფილვიყავ და აი ამ სურვილის შედეგი: — დავკარგე უწინდელი ძალ-ღონე და ყოველი რაც კი რამ კარგი მოიპოვებოდა ჩემში; მის მაგიერ საზარელი, უვარგისი და გამხმარი ჩონჩხი-ღა... მკვდარ-ცოცხალი უნდა ვიყო თქვენი შემაწუხებელი. რად მინდოდა ან ღირსება, ან სიმდიდრე? ოხ! ღმერთო! რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ კვლავ ვიყო პატარა მაშო, უზრუნველად მორბენ-მოცეკვავ-მოცინარი.

— აბა, რად ამბობ, შვილო, მაგას? განა სიმდიდრემ, ღირსებამ ჩაგაგდო მაგ ყოფაში?

— ახ! მამავ, შენ რო იცოდე ყველაფერი მაშინ მაგას აღარ იტყოდი. მე არ მინდოდა გამემწარებინა შენთვის სიცოცხლე, არ მინდოდა ჩემს სიტყვას ან შენთვის, ან იმისთვის რაიმე ზიანი მოეტანა და ამიტომ ვიყავ უსიტყო და ყოველ დარდს ვკლავდი ჩემს გულში. ეხლა რაკი ის ცოცხალი აღარ არის, დაფარვა, რაღა საჭიროა. შენ მართალს მეუბნებოდი, როცა მაფრთხილებდი გათხოვების დროს. მე მეგონა სიყვარული მეტი ბარგია ცოლ-ქმართათვის მეთქი; მეგონა უიმისოდაც კეთილად ვიცხოვრებდით, მაგრამ ძრიელ შევცდი. შევცდი და აგერ მისი შედეგიც. წინად არ მჯეროდა, მამავ შენი გაფრთხი-

ლება და ახლა კი ნათლად ვგრძნობ, რომ სიყვარული ისევე საჭიროა მყუდრო ოჯახობრივ ცხოვრებისათვის, როგორც ჰაერი ყოველ სულდგმულისათვის.

— საშინლად ვწუხარ, შვილო, რომ აგრე შეუბრალებლად დაიტანჯე, მაგრამ მაინც სანუგეშო კიდევ ის არის, რომ შენ ჯერ კიდევ ახალგაზდა ხარ, შეგიძლიან შეიყვარო ვინმე და დასტკბე უანგარო სიყვარულის ნაყოფით.

— არა, მამავ, არა! ნუ მეტყვი მაგას! მე უკვე მქონდა მეტად მარჯვე დრო მაგისი, მაგრამ მევე მკაცრად აუქციე მას მხარი, დავკარგე იგი და უეჭველია აღარ დამიბრუნდება დანაკარგი, მან წაიღო ჩემი გული და ერთხელ დაობლებულ-დადაგული გული ძნელად-ღა შესძლებს მაღალ და წმინდა გრძნობის შეთვისებას.

მაშოს უცებ ამოუჯდა გული და მდუღარე-გადმოსკდა თვალებიდამ. ზაქარიამაც მისცა შვილს ბანი თითქო ცრემლით უნდა გაუგრილონ ერთმანეთს დამწვარი გულიო.

დავიწყებიდამ მამა-შვილი გამოარკვია მსახურმა.

— ბატონო, ერთი ყმაწვილი კაცი გახლავთ და თქვენ გიკითხათ. ზაქარიამ საჩქაროდ მოიწმინდა თვალები—მოახსენე მობრძანდეს, უთხრა მსახურს და გავიდა სასტუმრო ოთახში.—სოლიკო შენა ხარ? მიესალმა ზაქარია ოთახში შემოსულ ყმაწვილ კაცს!

— რად დაგვივიწყე, შვილო, განა ასე უნდა?

— ხომ მოგეხსენებათ საქმეები?.. მაშო როგორ არის?— მაშოს შემოესმა ნაცნობი ხმა სიხარულის ჟრუანტელმა გაურბინა ტანში და მიესვენა ბალიშებზე.

— ისევ ისეა, შვილო, აგერ შედი და ნახე. სოლიკომ წყნარად შეაღო ოთახის კარები და შევიდა მაშოსთან. ზაქარიამ თითქო იხელთა თავისუფალი დრო და გამოვიდა გარეთ. სოლიკო ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა მაშოს საწოლს და გაშტერებით დააცქერდა საბანში შეხვეულ მაშოს.—ჩემო, მაშო, წამოიძახა სოლომ; მაშომ იცნო თავისი მეგობრის ხმა, იმ მეგობარისა, რომელიც იყო პირველი და უკანასკნელი მისი სიყვარულის საგანი. მის გაყვითლებულ სახეს სიწითლე გადაეფარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაახილა თვალები და ნელის ხმით უპასუხა.—სადა ხარ აქამდის სოლო?

— არ მიშვებდნენ, მაშო! მეუბნებოდნენ, რომ ჯერ კიდევ ადრეაო. მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩვენ უფრო უკეთ ვსცნობთ ერთეანეთს.

— მართალია, მაგრამ...

— მაგრამ რა, იქნება გული შეგეცვალათ?

— არა.

— არც, მე, ჩემო მაშო. თქვენ საშინლად გსურდათ გენახეთ მე დაქორწინებული და მეც არ მინდოდა მოვსულიყავ თქვენთან, მინამ ამ თქვენ სურვილს არ ავასრულებდი. თუ წინად ეს სასურველი იყო, ეხლა იგი აუცილებელია და გთხოვ ისურვოთ ჩემი ბედნიერება.

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ. უეჭველია თქვენი ამორჩეული არის ის... ის ნინო!

— ნინო? ხა! ხა! ხა! განა შეიძლება იყოს ვინმე ჩემი ცოლი, მის მეტი, რომელიც მე მიყვარს სიცოცხლეზე უმეტეს? იცით ვინ არის ისა? მაშო გაჩუმებული შეჰყურებდა სოლიკოს. სოლიკო მიჰხვდა სიჩუმის მიზეზს და განაგრძო,

— იყო დრო, როცა ერთი ქალი მზად იყო შემოეწირნა ჩემთვის ყოველისფერი, დაეტოვებინა ყველა და ყველაფერი: სიმდიდრე, ღირსება იმიტომ მხოლოდ, რომ განუშორებელი ყოფილიყო ჩემთან.

— სოლო, გენაცვა, ნულარ მამაგონებ იმ დროს.

— არა, მაშო, უნდა მოგაგონო, როგორც საუკეთესო და ბედნიერი დრო ჩემი სიცოცხლისა. მე მითი მომაქვს თავი და არას დროსაც არ დავივიწყებ მას. მაშინ შეურაცხყოფად მიიღეთ ჩემი გულწრფელი სიტყვები, მკარით ხელი და მოსწამლეთ ჩემი სიცოცხლე; ცხოვრება ჩემი შეირყა—შავად შეიმოსა... ეხლა მაინც არი მომეცით ნება განვიკურნო წარსული წყლული. ვიმეორებ დიდი ხანია, რაც მარტო თქვენ დაიჭირეთ ჩემს გულში ალაგი მეუღლისა და თვით სულიერი ჩვენი კავშირი უკვე ალბეჭდილია ზეცას. მაშ რაღად ვკარგავთ დროს. წარვსდგეთ ხალხის წინ და საყოველთაოდ ვაღვიაროთ ჩვენი შეუღლება.

— თქვენი ცოლი?!! წამოიძახა აკანკალებულის ხმით მაშომ. ნუ-თუ, სოლო, გავიწყდება თუ რა მდგომარეობაში ჩამაგდო ავათმყოფობამ? როგორ-ღა შემიძლიან გაგიწიო ცხოვრების უღელი, როდესაც ვგრძნობ, რო მე ლოგინს ველარ გავშორდები! როგორღა შემიძლიან ოჯახის წმინდა მოვალეობა შევასრულო, როდესაც ადგილიდამ დაძვრაც აღარ შემიძლიან! ახ! სოლო! რად ივიწყებ ყველა ამას! მაშოს უნებლიეთ წამოსცვივდა ცრემლები. სოლომ მოსწმინდა ცრემლები ხანგრძლივი კოცნით.

— არაფერი მავიწყდება, ჩემო ძვირფასო! როგორ დავივიწყებ, რო მე თქვენ მიყვარხართ და თქვენდამი სიყვარულმა აღამაღლა და განასპეტაკა ჩემი გული. გეფიცები პატიოსნებას, რომ თუ თქვენ არა-სხვა ვერავინ გახრება ჩემი ცოლი.

— არა, სოლო, ჩემგან შეუძლებელ მსხვერპლს სთხოულობ! როგორ დაგთანხმდე და შენი სიცოცხლით სავსე ახალგაზდობა მოვწამლო, მოვშხამო ჩემის მომაკვდავი ბუნებით.

— რად ამბობთ მაგას? განა რა საშიში სნეულება გჭირს, რომ აგრეთი უიმედობა გამოგიხატავთ გულში. მე სრულიად არ ვკარგავ იმედს, რომ თქვენ მალე განიკურნებით მაგ სენიდამ; მხოლოდ თქვენი თანხმობა ჩემს წინადადებაზე და სხვა არაფერია საჭირო. არა, მაშო, ვერ დამარწმუნებთ, რომ თქვენი ავათმყოფობა სიცოცხლის მომსპობი სენი იყოს. სრულიადაც არა! მეც არა თქვენზე ნაკლებ ვიყავ უკიდურესს მდგომარეობაში, როცა პირველად მტკიცეთ თქვენ უარი, მაგრამ... ამაზე არა ღირს ლაპარაკი. ველი უკანასკნელს პასუხს და იმედიც მაქვს „არას“ არ გავიგონებ. მაშომ ველარ შეიკავა თავი; გაიწოდა ხელები სოლოსკენ: — მე შენი ვარ, სოლო, ვიყავ და ვარ საუკუნომდის შენ...

---

ოთხი თვის შემდეგ სოლო და მაშო შეუღლდენ. მაშო თუმცა მთლად განთავისუფლდა ავათმყოფობისაგან, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ დიდი სიფთხილე იყო მისთვის საჭირო, რომ

კვლავ არ დაბრუნებოდა ავათმყოფობა. მოხუცი ზაქარია თით-ქო ახლად გაჭაბუკებულიაო, ისე დატრიალებდა თავის სახლში და ქორწილის სამზადისს გულმოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს.

ი. გახელი.

---

## ხალხური ლექსები

შეკრებილი „ნაპერწკლისაგან“

სურვილისგან ავათა ვარ,
მალ-მალ მოდიან ქალები,
ზოგსა მოჰქონდა მალამო
ზოგსა კალათით ბალები,
ერთი შეხედვით შევამჩნევ
რომელსაც შევებრალები.

—

ზემო ქართლიდამ წამოველ,
დავუვე ქარისა ქროლასა,
აქ უარესს შევეყარე
რძალ-დედამთილის ბრძოლასა;
უფროსი რძალი დედამთილს
თავსა უხლიდა კვრასა.
ეგ შენი რძალი ნენენა
მეტათ არ გასაზრდელია
ორი სარტყელი ვუყიდე
ორივე ჭიაფერია,
ერთმანეთზედ გადავაბი
ჯერაც არ შამოსწვდენია,
სამასი კვერცხი შეჭამა,
კრუხ წიწილს მიჰყო ხელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებში დაუკვეხნია
ერბოსაც მიაგენია,
საკვეცთელს ხელი მოავლო,
ცოტა ლეროში სქელია,
დედამთილსა წამოუსო
მშრალათ მოსწყვიტა წელია.

---

## ქალი სამხედრო ტანისამოსში

ანუ

**პრიკაშჩიკის დუელი,**

ვოდევილი ერთს მოქმედებად, გადმოკეთებული.

(გაგრძელება*)

### გამოსვლა 6

იგინივე და სიმონ ჭინჭარაძე

სიმონი. (კარებისაკენ) კარგი... კარგი... მე თითონ მოვძებ-ნი... აი თითონაც! გამარჯობა ჩემო ძველო მეგობარო! (ჰკოცნის)

გეურქა. აჰ, ბ-ნო პოლკოვნიკო... ბ-ნო კაპიტანო... ბ-ნო გენერალო... მე ისეთს ალტაცებაში... რომ სწორედ.. ღმერთს გეფიცებით... (იქით) სული გამეპარა, სული!

სიმონი. ჩემი ბიჭიკო სადღაა? რატომ არ მომეგება?

გეურქა. (იქით) ვაიმე! (იმას) თქვენი ბიჭიკო... თქვენ ეს არის ეხლა მობრძანდით გზიდგან—დაღალული ბძანდებით. აი სკამი. მე მგონია... მოსვენება გეჭირებათ.

სიმონი. მომიყვა აქ ი ბიჭი... ერთი ლაზათიანად დავკოცნო... ეს უფრო კარგი იქნება.

გეურქა. ცოტა მაინც დაისვენეთ.

სიმონი. მე დასვენებულიცა ვარ და მორჩენილიც.. ჩემი ცხე-

ნი, წარმოიდგინე, მიმყავდა ჭენებით. . ერთბაშად ვნახოთ თვალ-წინ წარმოსდგა ოთხ-ცხენიანი კალიასკა და შიგ ქალი .. მერე რა ქალი! სული რაღა, სული! გულმა ტკა-ტუკი დამიწყო... წარმოიდგინე, მინდა ახლო მივაჭენო, ვარტყამ ჩემს ცხენს, ჩემი ცხენი ორ-ფეხზედ სდგება და მივფრინავ იმის ფეხებ ქვეშ... ე. ი ჩემის ცხენის ფეხებ ქვეშ.

გეურქა. მერე ხომ არა დაგიშავდათ-რა?

სიმონი. არაფერი, ცოტა წელი კი ვიტკინე! ჩემდა საბედნიეროდ, ტალახში დავეცი. მაგრამ, ჩემმა გვრიტმა, რომ იცოდე, როგორ შემომხედა: თვალები, თვალები.,. ისე უელვარებდა, თითქოს მზე იყოს და თავისი ბრწყინვალე სხივებით დაკოდავს მიწიერებდესო, და შესძახა: ახ!, მერე რა «ახ»!.. მაგრამ შენ კიდევ ის ბიჭი არ მოგიყვანია, რაღასა სდგეხარ... ცქვიტად! მარშ! წადი!

გეურქა. სადა?

სიმონი. იმ... იმ... დასწყევლოს ღმერთმა, რა ჰქვიან, მე იმისი სახელი ხომ არ ვიცი?

გეურქა. ჰმ, ჰმ! ააა... რა ჰქვიან?.. ვანო, მგონია, კარგი სახელია.

სიმონი. კარგია, მაგრამ რომ დაგერქმია ალექსანდრე, ან... ან..., მაგრამ სულ ერთია, წადი, მომიყვა ნჩქარა აქ ვანო.

გეურქი. წარმომიდგენია თქვენი მოუთმენლობა, კაპიტანო. როდესაც ვისმეს დაიხსნი სიკვდილისაგან, მე მგონია, საშინლად უნდა გინდოდეს იმისი ნახვა... მართლა კაპიტანო, მიამბეთ, თუ ღმერთი გწამთ, როგორ დაიხსენით?

სიმონა. აი როგორ... ომი რომ გათავდა და ვბრუნდებოდი, ერთს აოხრებულს სოფელზე გამოვიარე: სახლები იწოდა, ფანჯრებიდან ალი გამოსჩანდა... უცბად ერთის სახლიდგან შემომესმა რაღაც ღრიალი, შევარდი და რასა ვხედავ? იატაკზე გდია მკვდარი დედაკაცი, გვერდზე მოსჯდომია ყმაწვილი და სტირის.

გეურქა. ოჰ, ღმერთო! რა საშინელი სურათია... მერე?

სიმონი. საშინელია განა! დავავლე ხელი ყმაწვილს, შევასხი ცხენს და გამოვქუსლე...

გეურქა. ჰა, ყოჩაღ, კაპიტანო!

სიმონი. ჯერ არ ვიცოდი, რა მექმნა ეს ბავშვი და არც თავის

დანებება მინდოდა.. ამ დროს უცებ თვალი მოვკარ შენს ვიკესკას და ..

გეურქა (გააწყვეტინებს) დიაღ, დიაღ! დანარჩენი ვიცი

სიმონი. რა კი იცი, წადი და აქ მომიყვანე.

გეურქა. (იქით) ხომ არ დამეხსნება, რა ჯიუტია!

სიმონი. რაღასა სდგეხარ?

გეურქა. კაპიტანო .. მოიღეთ მოწყალება... აი ხედავთ... მე აღარ შემიძლიან დავფარო... ეს საიდუმლო...

სიმონი. რა საიდუმლო? სთქვი რაღა ჩქარა.

გეურქა. (იქით) ეხლა გაცხარდება და...

სიმონი. რაღას დაჩუმდი... ნუ თუ რამე უბედურება შეემთხვა? ავად არის?.. იქნება... იტყვი, თუ არა, შე ტომარავ, შენა?!

გეურქა. ( შეშინებული) კაპიტანო... დამშვიდდით ცოტა... ცოცხალიც არის და კარგადაც.. თურაშაულ ვაშლსავით წითელი ლოყები აქვს, ელვარე და ბრწყინვალე თვალები.

სიმონი. ჭო, მესმის, სიცხე აქვს—ეგ არა უშავს-რა.

გეურქა. არა, სიცხე კი არა .. მე ის მინდოდა მეთქვა...

სიმონი. ალბად ქაღალდში წაავლო ..

გეურქა. არა, არა, არც ეგ არის.

სიმონი. ვალები თუ?..

გეურქა. არც ეგა, აი ხედავთ...

სიმონი. მაშ რაღას მაწვალებ? სისულელე იქნება რამე, ნუღარ მეტყვი.

გეურქა. (ხალხისკენ) ნუღარ ეტყვით, მოდით და ელაპარაკეთ.

სიმონი. ჯარში სუყველა სისულელეს დაივიწყებს. ამხანაგები ეყოლება, ასწავლიან არშიყობას, ხმლის ხმარებას, მეც იმასთან ერთად ვინადირებ ხოლმე, ვასწავლი სამხედრო წესებს.

გეურქა. (იქით) ჭო, დიაღ, დიაღ, ააშენე ჭაერში კოშკები.

სიმონი. სწორედ საამისოდაც ვამზადებდი. იმედი მაქვს, რომ კარგი ვაჟკაცი გამოიყვანე.

გეურქა. ვაჟკაცი? როგორ, მოითმინეთ.. (იქით) ღმერთო, შენ დამეხმარე! ( იმას ) ამიხსენით, რა აზრითა ბრძანეთ ეგა. თქვენც ხომ მოგეხსენებათ, რომ მასწავლებელს შეუძლიან, მოვალეა გაუხსნას, გაუფართოვოს მოწაფეს ბუნებითი ნიჭი და ცოდნა. ეს არის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს. მაგრამ, რა ჰქნას მასწავლებელმა, თუ ბუნებამ იგი სულ სხვა ნაირი შეჰქმნა და ის ნიჭი არ მისცა, რომელიც იმისს სქესს არ შეეფე. .

სიმონი. როგორ? განა იმას სამხედრო ნიჭი არა აქვს... სტყუი! მე დაგიმტკიცებ, რომ მშვენიერი მეომარი იქნება...

გეურქა. შესაძლებელია.

სიმონი. მე თითონ დავუწყებ აღზრდას, არ მოვიშორებ, დღე და ღამ ჩემთან ვიყოლიებ.

გეურქა. ოო, ეს კი გარდამეტებულია მაგით იმას დასტანჯავთ, მოჰკლავთ და დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც, ვაჟის მაგივრად, მშვენიერს ქალსა ნახავთ...

სიმონი. იმას თავს დავანებებ და ქალს დავუწყებ ძებნას განა? არასოდეს!

გეურქა. (იქით) ოჰ, რა ცხარეა!

სიმონი. (ფანჯარაში იყურება) ამას რას ჰხედავ? ის ქალი, რომლის წინაშეც ცხენიდგან გადმოვარდი?

გეურქა. როგორ? სადა?

სიმონი. აგერა, ფანჩატურისკენ რომ მიდის.

გეურქა. (იქით) ცისა და ქვეყნის შემომქმედო, ეს ხომ ნინოა!

სიმონი. ნინო ჰქვიან? აგერ აქეთ იხედება. (აჩვენებს) ჰმ, ჰმ! ქალბატონო! მაქვს პატივი... წავიდა, რა კარგია და, დასწყევლოს ღმერთმა! როგორ გაჩნდა ის შენსას?

გეურქა. ერთბაშად, თითქოს ციდგან ჩამოვარდაო.

სიმონი. შვილად აყვანილი ხომ არ არის? ან ძველი ნაცოდოვარი, მეგობარო?

გეურქა. არა...

სიმონი. ნათესავია?

გეურქა. შორეული... (იქით) ადამისა და ევას მხრით.

სიმონი. დიდად მიხარის, დიდად... (კოპწიავდება) იმედი მაქვს გამაცნობ. მადლობა უნდა გადავუხადო წლანდელი გულ-მტკივნეულობისა და იმ ალერსიანის „ახ"-ისთვის

გეურქა. კარგი, ბატონი ბრძანდებით, კაპიტანო. (იქით) ნეტა ამ არეულობას როდის მოეღება ბოლო?

სიმონ. მაშ ეს გალად დამდე და შეატყობინე. ვანოც გამომიგზავნე.

გეურქა. მივრბივარ. (იქით) ეშმაკმა წაიღოს, აქ ჩემი სწავლაც ვერასა მშველის; იმას გამოვუგზავნი და რაც უნდა, ისა ქმნას — თავშიამც ქვა უხლიათ. (გადის)

## გამოსვლა 7

სიმონი. (მარტო.) საწყალი ბებერი! როგორღაც არეულია. ალბად ჩემმა ცუღლუტმა იცელქა რამე... მე გაჩვენებ იმას. დამაცადოს. (მივა ფანჯარასთან) ჩემი მშვენიერი სადღაა? ჯერ არ გამოსულა მგონი ფანჩატურიდგან. დავიცდი და როცა გამოვა, შორიდგან უმდაბლესს სალამს ვუძღვნი (ხელზე იკოცნის). აბა, მაშ პატარა გავსწორდ-გავალამაზდები და ამ ფანჯარაში დავდგები დარაჯად.

## გამოსვლა 8

სიმონი, გეურქა და ნინო მუნდირში.

გეურქა. წადი, წადი, ნუ გეშინიან. მუნდირში ხარ, საშიში აღარ არის. კარგად მოიგონე, მაგრამ ვნახოთ რა იქნება.

ნინო. მაგისი მე ვიცი, თქვენ მარტო გამაცანით.

გეურქა. რა მენაღვლება... ბ-ნო კაპიტანო...

სიმონი. რაო?

გეურქა. აი... (ნინოზედ მიუთითებს.)

სიმონი. ვანო! ჩემო შვილო! მოდი ჩემთან, მოდი, მომეხვიე.

ნინო. (მივარდება და უცბად შესდგება) დიდის სიამოვნებით..

სიმონი. რაღას შესდექი? მოდი, მოდი და მომეხვიე. (ეხვევა და ჰკოცნის)

გეურქა. კი არ დაარჩოს, ამ ოხერმა-და!.

სიმონი. ძლივს არა გნახე.. ოჰო, შენ მუნდირში ხარ კიდეც: ყოჩაღ! საკვირველი კია, ღმერთმანი, კაცი ხშირად როგორას სცდება: მე მაღალის ტანის, ჩასხმულ და ღონიერ ვაჟკაცად მქონდა წარმოდგენილი და ეს კი უფრო ქალსა ჰგავს, ვიდრე ვაჟკაცსა. (ათვალიერებს)

მუნდირი კარგად გადგია, ეტყობა თერძს ნახევარი ადლი აუტალახებია.

გეურქა. ბატონო კაპიტანო, თქვენ ეხლა უეჭველის სამხედრო წესების სწავლებას დაუწყებთ და ამიტომ გაგეცლებით (იქით) ეხლაკი რაც უნდათ, ისა ჰქმნან. (გადის).

### გამოსვლა 9

### სვიმონი და ნინო.

სვ. მონი. წავიდა... უფრო კარგი: ხელს არ შეგვიშლის და თავისუფლად მოვილაპარაკებთ. ერთი ეს მითხარ, ჩემი ნახვა გესიამოვნა

ნინო. ოჰ, ბატონო, ძალიან.

სვიმონი. რაო, რას ჰბოდავ? მე რა ბატონი ვარ?

ნინო მომიტევეთ, მე მინდოდა მეთქვა: კაპიტანო.

სვიმონ. კაპიტანი... ჰო, რასაკვირველია, მე შენი კაპიტანი ვარ, უფროსი სამსახურის დროს, მაგრამ ეხლა ხომ ჯარში არა ვართ. ეხლა მე შენი ძმა ვარ, მეგობარი, ამხანაგი, მე პირველი მეგობარი ვარ შენი, არა?

ნინო. ჰო, ჰო, თქვენ ჩემი მეგობარი ხართ.

სვიმონი აი, ეგ მომწონს: დაჰკარ ხელი! აქ დაჯექ, აი სკამი. ჩემს გვერდით!.. არა, უფრო ახლო, აქ—მუხლზედ დაჯექი.

ნინო. ხომ შესწუხდებით.

სიმონი. შენ მაგისი ნუ გეფიქრება! მოდი, დაჯექ.

ნინო. (იქით) რა ვქნა, უნდა ავუსრულო (ჯდება)

სიმ.ნი. რა გემართება? რა მოგდის? ისე ხტუნაობ, თითქოს ნემსებზედ იჯდეო... ჩემი გეშინია თუ? ან იქნება არ გიყვარვარ?

ნინო. მე არ მიყვარხარ? თქვენა ხართ ჩემი მფარველიცა და მამაც! თქვენის წყალობითა ვარ ცოცხალი და კიდევ არ მიყვარხართ მაგრამ, ვინ იცის, მოვა დრო, როდესაც თქვენ თითონ შემიძულებთ.

სიმონი აი სისულელე. მე არასოდეს არ გამოვიცვლები.

ნინო. ცოლი რომ შეირთოთ?

სიმონი. არასოდეს. უშენოდ იქნება როგორმე გავგიჟებულიყავ. მინდოდა კიდეც ცოლის შერთვა. იცი რისთვის? რომ შვილი მყოლოდა... ეს არის ჩემი სურვილი.

ნინო. ქალი რომ გყოლიყოთ, არ გეყვარებოდათ.

სიმონი. ღმერთმა დამიფაროს! ქალი! ეგ ხომ ღვთის რისხვაა! აი ვაჟი-კი სულ სხვაა... წამოიზრდა, ერთს ხელში მიეცი თოფი, მეორეში ღვინო და შენ თითონ გაუმაწვილდები. აი, ეხლა შენ რომ გხედავ, რად მინდა ან ცოლი, ან შვილები! ეგ სულ ტყუილია! გეფიცები, რომ არას დროს...

ნინო. (ჩქარად) არა! არა! ნუ მეფიცებით!

სიმონი. რატომ არა? შენა გგონია, რომ შენ ცოლს არ განაცვალებ? აი, ჩემი ხელი. ღმერთს გეფიცები, შენ ისეთი ლამაზი ხარ და ძალიან ლამაზიც! ულვაშებიც რომ გქონდეს, მე შენ გეტყვი, რომ .. მაგრამ, იცი რა, რამდენსაც მეტს გიყურებ, იმდენი ერთს გამსგავსებ.

ნინო. ვისა?

სიმონი. აი, იმ ქალს, რომელიც ეს არის ეხლა ბაღში დადიოდა.

ნინო. შესაძლებელია.. გვარეული მსგავსება თუა ჩვენ შორის.

სიმონი. როგორა ეგა?

ნინო. ჩემი დეიდაშვილია.

სიმონი. დეიდაშვილი! მაშ ნათესაობა იპოვნე?

ნინო. ისიც ისეთი ობოლია, როგორც მე. დედას, თავისის სიკვდილის წინა დღით, ქუთაისის საქალო პანსიონში მიუცია და ეხლაც იქ არის.

სიმონი. სწორედ, სწორედ, მე გზაზე შევხვდი.

ნინო. დიაღ, მითხრა

სიმონი. მართლა? (კოხტავდება)

ნინო. თქვენ აქ—ფანჯარასთან იდექით, იმან დაგინახათ და მაშინვე გიცნოთ. მთხოვა კიდეც, ჰკითხე: ხომ არა იტკინა-რაო?

სიმონი. ოჰო! მაშ მიკითხა... ჰმ! იცი, ლამაზი დეიდაშვილი გყოლია.

ნინო. ვიცი.

სიმონი. იცი? მაშ შენც მოასწარი იმისი დათვალიერება?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო. მადლობა ღმერთს, თვალები კარგი მაქვს.

სიმონი. მაინც ნება მომეცით გკითხოთ, ბ-ნო კორნეტო, ამეებში სიყვარული ხომ არ იმალება? ამ საიდუმლოზედ ხომ არ ამბობდა გეურქსა?

ნინო. არა, კაპიტანო, ჩემი დეიდაშვილი მეტად ძნელი და მაგარი ასაღები ციხე. ბევრი ჰყვანდა თაყვანის-მცემელი სხვა დასხვა-წინადადებებით, მაგრამ იმან...

სიმონი. უეჭველია ვინმეა სოფლელნი, უსწავლელნი, ბრიყვები, აბა...

ნინო. ტყუილად, კაპიტანო; გარწმუნებთ, რომ ძნელად იმას აცმა თავი მოაწონოს.

სიმონი. მართლა? რას ამბობ?

ნინო. თვითონ მეც ვეცადე, მაგრამ ვერა იქმნა რა.

სიმონი. საწყალო, უწვერ-ულვაშო კორნეტო.

ნინო. მაშ მე გეტყვით, რომ თქვენც კი, თუმცა წვერ-ულვაშიანი ხართ, კაპიტანო, ვერასა იქთ.

სიმონი. ვნახოთ! დასწყევლოს ღმერთმა, ეს ხომ პირველი არ არის.

ნინო. მე-კი არ გირჩევთ, რომ ტყუილად წამალი გაათუჰოთ-და.

სიმონი. მართალს ამბობ: ქალთან ყოველად ბედკრული კაცი ვარ და მერე მაგისთანასთან .. მაშინვე ტყვეთ დავეჭერინები: დილას აქეთია თავიდგან არა მშორდება. არა, ეს საშიშია... მომზადე, ჩვენ ეხლავე მივდივართ.

ნინო. მივდივართ? სად?

სიმონი. პოლკში. უბრძანებ, რომ ცხენები მოიყვანონ და ერთი საათის უკან გავქუსლოთ.

ნინო. (იქით) ეხლა რაღა ვქნა? .როგორ მოვასხერხო? (იმას) მე არ შემიძლიან წამოსვლა.

სიმონი. როგორ თუ არ შეგიძლიან? ეგ რაღა ახალი ამბავია?

ნინო (იქით) რა მოვიგონო? (იმას) მე... მე შეყვარებული ვარ.

სიმონი. ვინ გიყვარს? დეიდაშვილი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნინო. არა, სხვა.

სიმონი. ეგ უფრო კარგი. იქ ყველაფერი დაგავიწყდება.

ნინო. არას დროს. თქვენ არ გესმისთ ჩემი სიყვარული: მე ის გაგიჟებით მიყვარს, უიმისოდ...

სიმონი. ეს რასა ჰნიშნავს? თქვენ გავიწყდებათ სამხედრო წესი? Смирно! ხელები სწორედ. ჭაიდა—«მარშ»!

ნინო. (რიგზე დამდგარი) ბ ნო კაპიტანო, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არ შემიძლიან დავუტევო ის, ვინც მიყვარს.. იმიტომრომ...

სიმონი. კმარა ხუმრობა.

ნინო. ხუმრობა იქით იყოს, კაპიტანო ჩვენ ერთად გავიზარდენით, ერთად ვსწავლობდით, შევიყვარეთ ერთმანეთი და ეხლა გვიანდაა... ის უნდა შეიქმნეს ჩემი ცხოვრების თანამოგზაური.

სიმონ. გამაგებინე ერთი, ვინ უნდა შეიქმნეს შენი ცხოვრების თანამოგზაური? ვინ არის? მოსამსახურე გოგო, მკერვალი, თუ მებაღის ქალი.

ნინო. მასწავლებლის ძმის-წული.

სიმონი. აი, თურმე ვინა ყოფილა! არა და მერე ეგრე როგორ დაგიმონავა...თითონ ეგ შენი მასწავლებელიც სულელი ყოფილა. რატომ აქამდინ არ იცის, რომ ვაჟების პანსიონში ქალები არ უნდა იყვნენ... თავი-კი მოაქვს სწავლულობით. მაშ შენ, მეტი ღონე არ არის, გუსარობიდგან უნდა გამოგრიცხო და სამოქალაქო კაცთა სიაში ჩაგწერო.

## გამოსვლა 10

იგინივე და ლიზა.

ლიზა. ბ ნო კაპიტანო, მოსვენებას ხომ არ ინებებთ? თქვენი ოთახი მზად გახლავთ.

ნინო. აა, ლიზა, ხსენებაზედ! ეს არის ეხლა შენზედა ვლაპარაკობდით. მე გავუმხილე კაპიტანს..,

ლიზა. რა?

ნინო. ნულარა მალავ; მე ამათ ვუამბე ჩვენი სიყვარული, ამათ

საქმის გარიგება იკისრეს და ჩქარა ვიქნებით სრულიად ბედნიერნი! (ჩუმად) მოიგანგებე, ვითომ სულველა გესმის.

ლიზა. ეს ხომ არ არის შენი ცხოვრების თანამოგზაური?

ნინო. ეს გახლავსთ. მაქვს პატივი გაგაცნოთ...

ლიზა. მაშ შენ გაუმხილე, კაპიტანს...

ნინო. რომ ჩვენ გვიყვარს ერთმანერთი. ჩქარა შენ იქნები ჩემი ცოლი და მე შენი ქმარი რა კარგი იქნება! მე ყოველ წუთს დაგიწყებ კოცნას, ალერსს, ხვევნას... აი ასე. .

(ჰკოცნის, კარებში გამოჩნდება ავეტიქა და იქვე რჩება გაოცებული.)

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნებიერიძე.

განცხადება

სცენები „მიროვოი სუდიასთან“ — დავით ხოსლანის დაიბეჭდა ცალკე წიგნებად და ისყიდება „წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწყობში და ბ-ნი ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ფასი ღირს 13 კაპ. კაზ. „თეატრის“ ხელის მომწერთ დაეთმობათ ორ შაურად. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ ღირებული ფასი მარკებით გამოგზავნონ.

ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა (სპრავოჩნი) კანტორა

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც ზალოგი აქვს შეტანილი ხაზინაში.

შ. ე. დავიდოვისა

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მიიპოვოს ყოველგვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე: მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურთა ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

Дозв. ценз. Тифл. 3 Сентября 1888 г. Тип. Е. Г. Месхи, Гол. пр. № 3